საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 03-04/06

ქ. თბილისი 28.06.2021 წ.

„განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“ 2021 წლის 29 აპრილის

№03-04/04 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

2021 წლის 1 ივლისიდან სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში (შემდეგში - „ობსერვატორია“) სამუზეუმო საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებით, ობსერვატორიის წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებითა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „პ“ ქვეპუნქტების, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას დამატება **„განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ“** ობსერვატორიის დირექტორის 2021 წლის 29 აპრილის №03-04/04 ბრძანებაში, კერძოდ, მის დანართში და პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„1^1. 2021 წლის 1 ივლისიდან ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შეზღუდვა, ამ მუხლის პირველი პუნქტში გამონაკლისის სახით დაშვებული პირების გარდა, ასევე, არ ვრცელდება უცხო პირებზე (პირები, რომლებიც ობსერვატორიაში არ არიან დასაქმებულნი), რომელთა ვიზიტის მიზანია ობსერვატორიის დათვალიერება. მათი შესვლა და გადაადგილება ობსერვატორიის ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ ექსკურსიებისა და მუზეუმის დეპარტამენტის ექსკურსია გიდის მეთვალყურეობითა და პასუხისმგებლობით, ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვით.“.

2. დაევალოს ობსერვატორიის დირექტორის თანაშემწეს (ე. დოხნაძე) და საქმისწარმოებისა და არქივის სპეციალისტს (თ. მერაბიშვილი) წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოცხადება: ობსერვატორიის თანამშრომელთა და ობსერვატორიაში (მთა ყანობილზე) სტუმრობით დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, ობსერვატორიის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება და ინფორმაციის ობსერვატორიის ვებ-გვერდზე (www.abao.ge) განთავსება.
3. დაევალოს სამეურნეო და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტს (თ. ბარბლიშვილი) უზრუნველყოს ობსერვატორიაში, მთა ყანობილზე შემსვლელ პირთა რეგულარული თერმოსკრინინგი.
4. ბრძანება ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი **რევაზ ჭანიშვილი**